



ნიჰოდა იუნი

აზაჰ
ხოა
ჰარს
კვდაჰია

ინგლისურიდან თარგმნა ტაო ჭალიძემ

დედას და მამას, რომლებმაც მასწავლეს სიზმრები და
მათი დაჭერა.



პროლოგი

პარლ სანიბენმა თქვა: თუ გინდა ვაშლის ღვეზელის გაკეთება ნულიდან დაიწყო, ამისთვის ჯერ სამყარო უნდა შექმნა. როცა სეიგენი ამბობს, „ნულიდანო“, გულისხმობს არაფრიდან შექმნას; იმ დროიდან, როცა სამყარო ჯერ კიდევ არ არსებობდა. თუ გინდა ვაშლის ღვეზელი არაფრიდან დაიწყო, უნდა დაიწყო დიდი აფეთქებიდან და სამყაროს გაფართოებიდან, ნეიტრონებიდან, იონებიდან, ატომებიდან, შავი ხვრელებიდან, მზეებიდან, ოკეანეების მიმოქცევიდან, ირმის ნახტომიდან, დედამიწიდან, ევოლუციიდან, დინოზავრებიდან, გადაშენების გამომწვევი მოვლენებიდან, იხვნისკარტებიდან, ჰომო ერექტუსიდან, კრომანიონელებიდან და ა.შ. – დასაბამიდან უნდა დაიწყო. ცეცხლი უნდა შექმნა. დაგჭირდება წყალი, ნაყოფიერი მიწა და თესლი; ასევე ძროხები და ადამიანები ამ ძროხების მოსაწველად და კიდევ უფრო მეტი ადამიანი – ამ რძის კარაქად გადასაქცევად. დაგჭირდება: ფქვილი, შაქარი და ვაშლის ხეები. ქიმია და ბიოლოგია. ძალიან კარგი ვაშლის ღვეზელისთვის ხელოვნებაც დაგჭირდება. ვაშლის ღვეზელისთვის, რომელიც თაობები გაატანს, დაგჭირდება საბეჭდი მანქანა, ინდუსტრიული რევოლუცია და შეიძლება ლექსიც.

ისეთი მარტივი რაღაცის შესაქმნელად, როგორც ვაშლის ღვეზელია, შენ მთელი სამყარო უნდა შექმნა.



დანელი

ადგილობრივი თინეიჯერი ემორჩილება ბედისნერას, თანხმდება, რომ გახდეს ექიმი, სტერეოტიპი.

ჩარლის ბრალია, რომ ჩემი ზაფხული (და ახლა უკვე შემოდგომაც) საგაზეთო სტატიების აბსურდულ სათაურებს დაემსგავსა. ჩარლზ ჯაე ვონ ბაე, იგივე ჩარლი, ჩემი უფროსი ძმა. პირველი ვაჟის პირველი ვაჟი, რომელმაც ჩემი მშობლები (და მათი ყველა მეგობარი და ნიუ-იორკის უბნის, ფლაშინგის მთელი ქორიკანა კორეული საზოგადოება) გააკვირვა, როცა ჰარვარდიდან გამოაგდეს (საუკეთესო სკოლა, – თქვა დედაჩემმა, როცა მიღების წერილი მოვიდა). ახლა ის საუკეთესო სკოლიდან გამოაგდეს და მთელი ზაფხული დედაჩემი იზღვირება და ბოლომდე არც იჯერებს და ვერც იგებს.

რატომ გქონდა ასეთი ცუდი ნიშნები? გამოგაგდეს? რატომ გამოგაგდეს? რატომ არ დაგტოვეს და გაიძულეს, მეტი გესწავლა?


მამაჩემი ამბობს:

– გამოგდება არა. საბუთების გატანის მოთხოვნა. ეს არ ნიშნავს გამოგდებას.

ჩარლი ბურდლუნებს:

– დროებითია, მხოლოდ ორად ორი სემესტრით.

ჩემი მშობლების ამ განუწყვეტელი დაბნეულობის, სირცხვილისა და იმედგაცრუების გამო ლამისაა ჩარლი შემეცოდოს. ლამის.



ნატაშა

დედაჩემის აზრით, ხალი უნდა ჩავიკნინო, რაღვან ჩემს საქმიანობას შედეგი არ ექნება. გაბრაზებულია, ამიტომაც ჩვეულებრივზე უფრო შესამჩნევი აქცენტი აქვს. ყველა მისი წინადადება კითხვითია.

– არ ფიქრობ, რომ დანებების დროა, ტაშა, რასაც აკეთებ უშედეგოა?

უშედეგოს პირველ მარცვალს ერთი წამით წელავს. მამაჩემი არაფერს ამბობს. სიბრაზისგან ან უსუსურობისგან დამუნჯებულია. ვერასდროს ვხვდები ამ ორიდან ნამდვილი მიზეზი რომელია, ვერასდროს. ისე იღუშება, მის სახეზე სხვა ემოციის წარმოდგენა თითქმის შეუძლებელია. ეს რომ რამდენიმე თვის წინ მომხდარიყო, ვიტყოდი, მისი ასეთ მდგომარეობაში დანახვა მასევედიანებს-მეთქი, მაგრამ ახლა საერთოდ არ მალეღვებს. ეს ორომტრიალი მისი ბრალია.

მოვლენების ასეთი განვითარება მხოლოდ ჩემს უმცროს ძმას, პიტერს ახარებს. აი, ახლა თავის ჩემოდანს ალაგებს და ბობ მარლის No Woman, No Cry-ის უსმენს. „ბარგის ჩალაგების ძველებურ მუსიკას“ ეძახის.

თუმცა აქ, ამერიკაში დაიბადა, მაინც იამაიკაში ცხოვრება უნდა. ყოველთვის მორიდებული იყო და დამეგობრება უჭირდა. მგონი იამაიკა სამოთხედ წარმოუდგენია და რატომღაც ფიქრობს, იქ უკეთ იქნება.

ოთხივენი ჩვენი ერთსაძინებლიანი სახლის მისაღებ-

ში ვართ. ეს ოთახი ჩემი და პიტერის საძინებლის როლსაც ითავსებს. ორი პატარა დივანი დგას, რომლებიც სანოლად კეთდება. შუაში კი პირადი სივრცის შესაქმნელად ლურჯი ფარდა კიდია. ახლა ფარდა გვერდითაა განეული და ოთახის ორივე ნაწილის დანახვა ერთდროულადაა შესაძლებელი.

ძალიან მარტივი მისახვედრია რომელ ჩვენგანს უნდა წასვლა და რომელს – დარჩენა. ჩემ მხარეს ემჩნევა, რომ ვილაც ცხოვრობს. ჩემი ნიგნები IKEA-ს პატარა თაროზე აწყვია. ჩემი საყვარელი ფოტო, რომელშიც მე და ჩემი საუკეთესო მეგობარი, ბევი ვართ, მაგიდაზე დევს. დამცავი სათვალე გვიკეთია, ფიზიკის ლაბორატორიაში ვდგავართ და კამერას ტუჩების გაბუსხვით ვეპრანჭებით. უსაფრთხოების სათვალე ჩემი იდეა იყო, ტუჩების გაბუსხვა – მისი. ჩემი კარადიდან ტანსაცმელი საერთოდ არ ამომიღია. „ნასას“ ვარსკვლავების პოსტერიც კი არ ჩამომიხსნია. უზარმაზარია. სინამდვილეში რვა პოსტერია, რომლებიც ერთმანეთს მივანებე. ზედ ყველა დიდი ვარსკვლავი, თანავარსკვლავედი და ირმის ნახტომის ნაწილი მოჩანს. ინსტრუქციებიც კი აქვს, როგორ იპოვო პოლარისი და თუ დაიკარგები, როგორ გაიკვლიო გზა ვარსკვლავების საშუალებით. პოსტერების მიღები, რომლებიც მათ ჩასანყობად მოვიტანე, თავლია მდგომარეობაშია კედელზე მიყუდებული.

პიტერის მხარეს თითქმის ყველა ზედაპირი ცარიელია. მისი საკუთრების დიდი ნაწილი უკვე ყუთებსა და ჩემოდნებში აწყვია. დედაჩემი მართალია, რა თქმა უნდა, რასაც მე ვაკეთებ, უშედეგოა. და მაინც, ჩემს ყურსასმენს, ფიზიკის ნიგნსა და კომიქსების ნაწილს ვიღებ. თუ დრო მაქვს გასაყვანი, იქნებ დავალეხა დავასრულო და წავიკითხო.

პიტერი მიყურებს და თავს აქნევს.

– ეგ რატომ მოგაქვს? – ნიგნს გულისხმობს, – მივდივართ, ტაშა. დავალების ჩაბარება მაინც არ მოგიწევს.

პიტერმა სარკაზმის ძალა ახლახან აღმოაჩინა და გამო-
ყენების არც ერთ შანსს არ უშვებს ხელიდან.

მისთვის პასუხის გაცემით თავს არ ვინუხებ. უბრალოდ,
ყურსასმენს ვიკეთებ და კარისკენ მივდივარ.

– მალე დავბრუნდები, – ვეუბნები დედას.

პირს ანკლაპუნებს და ტრიალდება. თავს ვახსენებ, რომ
ჩემზე არაა გაბრაზებული. *ტაშა, შენზე არ ვარ გაბრაზებული,
იცი?* – ამას ბოლო პერიოდში ხშირად იმეორებს. მანჰეტენის
ცენტრში, აშშ-ის მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამსახურის
შენობაში მივდივარ, რომ ვნახო, ჩემი დახმარება ხომ არ
შეუძლიათ. ჩვენ უსაბუთო იმიგრანტები ვართ და ამაღამ
დეპორტაციას გვიპირებენ.

დღეს ჩემი ბოლო შანსია, რომ ვინმე, ან ბედისწერა მაინც,
დავარწმუნო და ამერიკაში დარჩენის გზა ვიპოვო.

მეტი სიცხადისთვის მინდა აღვნიშნო, რომ ბედისწერის
არ მჯერა. მაგრამ სასონარკვეთილი ვარ.



დანიალი

მიზნები, რომელთა ბაზოც ვფიქრობ, რომ ჩარლზ ჯაე ვონ ბაე, იგივე ჩარლი, ტრაკია (თანმიმდევრობას მნიშვნელობა არ აქვს):


1. ჰარვარდში ამ ეპიკურ და გასაოცარ (და უბრალოდ, სასიამოვნო) ჩასვრამდე, შეუდარებლად კარგი იყო ყველაფერში. არ შეიძლება ერთ ადამიანს ყველაფერი გამოსდოდეს: მათემატიკა, ინგლისური, ბიოლოგია, ქიმია, ისტორია და სპორტი. არ არის სამართლიანი. დიდი-დიდი სამი ან ოთხი რამ გეხერხებოდეს და ეგეც კი ცოტა მეზედმეტება.

2. კაცური კაცია. ეს ნიშნავს, რომ ხშირად, უფრო სწორად, ძირითადად ტრაკივით იქცევა. არა, სულ ტრაკივით იქცევა.

3. მაღალია და ყველა რომანტიკული რომანის გმირ ბიჭს რომ შეეფერება, ისეთი გამოძერწილი ღანვები აქვს. გოგოები (ყველა გოგო და არა მხოლოდ კორეული ბიბლიის წრის გოგოები) ფიქრობენ, რომ კარგი საკოცნელი ტუჩები აქვს.

4. ეს ყველაფერი პრობლემა არ იქნებოდა – მდიდრების შერცხვენა, კი ბატონო; ზედმეტად ბევრი ნიჭი ერთ ადამიანში, რა თქმა უნდა – კარგი ტიპი რომ ყოფილიყო, მაგრამ არ არის. ჩარლზ ჯაე ვონ ბაე კეთილი არ არის. თვითკმაყოფილი იდიოტია და რაც ყველაზე საშინელია, მჩაგვრელიც. მოკლედ, დიდი ტრაკი ვინმეა.

5. არ მოვწონვარ. წლებია არ მოვწონვარ.



ნატაშა

მატალის დატაქტორში გავლამდე ტელეფონს, ყურსასმენსა და ზურგჩანთას ნაცრისფერ კალათში ვანყო. დაცვის თანამშრომელი, რომლის მაისურზე მიმაგრებული წარწერა გვამცნობს, რომ ირენი ჰქვია, ჩემს კალათას კონვეიერში გასვლას არ აცდის. ეს ყოველდღე მეორდება.

ავხედავ და არ ვუღიმი.

კალათში იხედება და ჩემს ტელეფონს ატრიალებს ხელში, მერე კი ტელეფონის ჩასადებს აშტერდება, ისევე როგორც სხვა დღეებში. ტელეფონის ჩასადებზე „ნირვანას“ ალბომის, *Nevermind*-ის სურათია. ყოველდღე ირენის თითები ბავშვის გამოსახულებასთან ყოვნდება და როგორც ყოველთვის, არც ახლა არ მომწონს, რომ ეხება. „ნირვანას“ სოლისტი კურტ კობეინი იყო. მისი ხმა, ის, რომ სულაც არ იყო იდეალური, ის, თუ როგორ გრძნობ ყველაფერს, რასაც კურტი გრძნობდა და ის, თუ როგორ იწელება და წვრილდება მისი ხმა, თითქოს, აი, ახლა განწყდებაო და სინამდვილეში არ წყდება, არის ერთადერთი რამ, რაც იმ კომპარის მერე საღი აზრის შენარჩუნებაში მეხმარება. ჩემი უბედურება მისას არც შეედრება.

ძალიან დიდ დროს ანდომებს. ამ შეხვედრაზე ვერ დავავიანებ. ვფიქრობ, რამე ხომ არ ვუთხრა, მაგრამ არ მინდა გავაბრაზო. სავარაუდოდ, თავისი სამსახური სძულს. არ მინდა, დროის განელვის მიზეზი მივცე. ისევ ჩემკენ იხედება,

მაგრამ არც ერთი წამით არ ემჩნევა, რომ მცნობს. არადა, წინა კვირას ყველა დღე აქ გავატარე. მისთვის ერთი უბრალო აპლიკანტი ვარ, კიდევ ერთი ვიღაც, ვინც ამერიკისგან რაღაცას ითხოვს.